№ 129
პარასკევი, 19 ივნისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 129
პარასკევი, 19 ივნისი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად ახალი წიგნი:

**თ. ილია ჭავჭავაძე**

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წერილი პირველი

**მ ე გ ა ხ ლ ა ვ ა რ** ისა.

ფასი 20 კაპ. ვინც 10 ცალზედ მეტს დაიბარებს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას 20% დაეთმობა. წიგნი იყიდება აგრეთვე ბ-ნ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (10—უ.—4)

## «ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(ჯუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო**. 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პრიტასევიჩი**. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე**.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—6½—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, [illegible]

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(წ)

**ვკისრულობ**
**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,
**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**
**ალექსანდრე გრიგორის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.
**ტელეფონი** № 567.
(50—80—37).

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 18 ივნისს, საბჭოს მკურნალმა გრაფის ქუჩაზე, ტფილისის მე-3 ნაწილში აღმოაჩინა ერთი ხუნაგიანი ავადმყოფი. მშობლები არ დასთანხმდნენ, რომ ავადმყოფი სამკურნალოში წაეყვანათ და მკურნალები სახლში სწამლობენ.

*** 17 ივნისს სამკურნალო-სანიტარო საბჭომ განიხილა მოხსენება ქალაქის აფთექის იჯარადარის ბ-ნ კამოცკისა, რომელსაც იჯარის ვადა ერთის წლის შემდეგ უთავდება. ბ-ნი კამოცკი სთხოვს საბჭოს—კიდევ მომეცით ეს აფთექა იჯარით და 1,300 მანათი დამიკელით, რადგანაც ვერის ხიდთან შემოდგომიდგან ახალს აფთიაქებს აღებენ და ამიტომ მე ვაჭრობა დამაკლდებაო. სამკურნალო სასანიტარო საბჭომ არ შეიწყნარა ეს მოხსენება და გადასწყვიტა საჯარო ვაჭრობით მისცეს ეს აფთიაქი იმას, ვინც მეტს მისცემს.

*** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს აზრადა აქვს ბორჩალოსა, დუშეთისა და თიონეთის მაზრებში წავიდეს როგორც საზოგადოდ ამ მაზრებისა, აგრეთვე კერძოდ სამაზრო და საბოქაულო გამგეობათა დასათვალიერებლად.

*** ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თვითმმართველობას ეცადეთ მალე დააარსოთ ქალაქის ხარჯით საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვისაო.

*** ხმ. ა. ს. ბაბოვმა შეიტანა ქალაქის საბჭოში განცხადება, რომელშიაც სთხოვს, ნება მიეცით გამგეობას დააგიროვოს ქალაქის სახლი საკრედიტო საზოგადოებაში 115,000 მანეთად, რომ ეს ფული ერთის წლით ადრე გადასცეს უსახელო საზოგადოებას რკინის გზის გამოსასყიდ ფულშიო.

*** სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ი. ს. კაზიმირსკი [illegible] „ტფ. ფ.“ სიტყვით, სამართალში იქმნენ მიცემული. მათ ჰბრალდებათ სახელმწიფო ფულის გაფლანგვა, სიყალბე და სხვ. ამას გარდა, რომანოვს სხვა კაცის სახელზედ ფოსტით გაგზავნილის საათის მოპარვაც ჰბრალდება.

*** სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტმა კავკასიის უმაღლესს მთავრობას გადმისცა 1,360 მან., რომელიც სესხად უნდა დაურიგდეს ზაქათალის ოლქის სოფ. შიდლიარისა, ლიაკიტ-კეტუკლოსა, კარატალასა და ორისტიხლოს მცხოვრებლთ.

*** ხმოსანმა ა. გ. ევანგულოვმა ტფილისის საბჭოს ხმოსანთ დაუგზავნა თავისი გამოკვლევა, რომლითაც ბ-ნი ევანგულოვი იმ აზრს დასდგომია, რომ ინჟენერის ყაზბეგის წინადადება უფრო სასარგებლოა ქალაქისათვის, ვიდრე უსახელო საზოგადოებისა ტფილისის ცხენის რკინის გზის წარმოების შესახებაო.

*** ტფილისის სახალხო თეატრის სასარგებლოდ უკვე 6,000 მან. მოგროვდა. ქალაქის გამგეობამ მოლაპარაკება დაიწყო ზოგიერთ ხმოსნებთან თეატრის სადგომისათვის, საჭირო მამულის გადადების შესახებ.

*** ქვრივმა ნ. ე. ზუბალაშვილისამ ნება-რთვა მიიღო კავკასიის უმაღლესს მთავრობისაგან თავისს ქმრის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში დასაფლავებისა და განსვენებული დასაფლავებულ იქმნა ოთხშაბათს, 17 ივნისს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეუთვალა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველს ბ-ნ ჯაბადარს, ახალის ფარნების დადგმას შეუდექით ქალაქის ქუჩებშიო. აზრადა აქვთ 160 ახალი ფარანი დადგან ავლაბარსა, დიდუბესა და ახალ ჰოლანდიაში.

*** ამ რამდენისამე ხნის წინად გამოსცეს რუსულ ენაზედ კრებული

## ფელეტონი

### ცხოვრება და მწერლობა

### III

### ახალი ქართველი ქალი

(შემდეგი *)

ხშირად სჩივიან ჩვენში, ლიტერატურული კრიტიკა არა გვაქვსო. მე გკითხავთ, ლიტერატურა-კი გვაქვს? ან იქნება გგონიათ, რომ კალენდრები, სიგელები და გუჯრები, „ქართლის ცხოვრებიდგან“ გადმოწერილი მონოგრაფიები ლიტერატურაა? თუ არ შეგებრალებათ ეს სახელი, ამ ნაწარმოებთ შეგიძლიანთ უწოდოთ „მეცნიერება“ და არამცა და არამც „ლიტერატურა“. ლიტერატურა არის კრებული ხელოვნურთა ნაწარმოებთა, ნაყოფი ფანტაზიისა.

თუ ძველს ლიტერატორებს თავს დავანებებთ და ახლებში დავიწყებთ ძებნა ლიტერატორებისა, მერწმუნეთ, ბევრს ვერ ჩამოვსთვლით. ყველაზედ გაცილებით მაღლა სდგას ანასტასია ერისთავისა ბელლეტრისტულ ნიჭით.

ბელლეტრისტიკას ჰყოფენ ხოლმე სამ დარგად: ტენდენციური, ანუ წინად განზრახულ აზრზედ აგებული, ფანტასტიური, ანუ ისეთი ნაწარმოები, რომლის გმირები მთლად და სავსებით ავტორის ფანტაზიის ნაყოფნი არიან და ნამდვილ ცხოვრებასთან საერთო არა აქვთ-რა, და ბოლოს რეალური, ანუ ცხოვრების გულ-დვიძლიდგან ამოღებული ნაწარმოები.

რვა მეათედი მთლად ქართულის ბელლეტრისტიკისა უნდა ჩაითვალოს ტენდენციურ ნაწარმოებად, ერთი მეათედი ფანტასტიურად და ერთიც მხოლოდ რეალურად. დაწვრილებით ამ საგანს სხვა დროს დავუბრუნდებით და მაშინ დავყოფთ ჩვენს მწერლებს დასებად, ვუჩვენებთ მკითხველს, თუ რომელი რა მიმართულებისანი არიან. ახლა კი ვიტყვით, რომ „მოლიპულ გზის“ ავტორი რეალურის სკოლის მოწაფეა. ისიც უნდა ითქვას, რომ მწერლები რეალისტებიც ოთხ დარგად განიყოფებიან: ერთნი ეტრფიან ბუნებას, მისს სიმშვენიერეს (ვაჟა-ფშაველა), მეორენი აგვიწერენ ამა თუ იმ ადამიანს, ქართლელს, ქიზიყელს, იმერელს, ყოველის წვლილით, ესენი არიან ბელლეტრისტები-ეტნოგრაფისტები. ამათ უფრო ეხერხებათ ადამიანის და მისას ცხოვრების გარეგნობის აღწერა. აღწერაა ჭეშმარიტი, სრული. მხოლოდ ამათ არ ძალ-უძთ ჩახედვა ადამიანის სულში. ასეთნი არიან უმრავლესნი ახალგაზდა ბელლეტრისტებში. არიან ბელლეტრისტები-ნატურალისტები (ზოლა), რომელნიც ფოტოგრაფიულად იღებენ ცხოვრებას. ასეთი მწერალი ჯერ ჩვენში არ არის და რომ არც დაგვებადოს, არაფერს ვიზარალებთ. არის მეოთხე რიგი ბელლეტრისტისა, ამათი თვალი შორს ჰხედავს, ამათი ყური მახვილია და იგებს ერის გულისა და მაჯის ცემას. ამათი თვალი ჰხედავს ადამიანს სავსებით, მათს მახვილ თვალ-ყურს არ გამოეპარება არც ერთი იდუმალი ფიქრი ადამიანისა, არც ერთი განზრახვა. ესენი, როგორც არწივნი, ცის სივრციდგან დასცქერიან ქვეყანას და ჰხედავენ არა თუ ერთსა და ორს ადამიანს,—მთელს ერს. ამიტომ ამათ და მხოლოდ ამათ შეუძლიანთ გაგება იმისი, თუ რას ჰფიქრობს, რა სტკივა, რა უყვარს, რა სძულს არა ერთ კაცს, არამედ ჯგუფს, კლასს, სრულს ერს. ესენი არიან გულის მოპასუხენი ერისა, ხალხისა. ესენი ჰქმნიან ტიპებს ადამიანებისას. გაივლის დრო და ჟამი, ჩვენ დავიხოცებით. ასის წლის შემდეგ მცხოვრები ჩვენი შთამომავალი სრულიად დაგვივიწყებს. ბევრიც რომ ატრიალოს იმან გუჯრები და ისტორიული მონოგრაფიები, ვერ გაიგებს ჩვენის გულის ამბავს, ვერ გაიგებს: ვინ გვიყვარდა, რომელ ღმერთს ვემსახურებოდით, რა იდეალებს ვესწრაფებოდით, რა გვიკოდავდა გულს, როგორნი ვიყავით შინ და გარეთ. გარნა არის ისეთი ისტორიაც, რომელიც მას ნათლად წარმოუდგენს ჩვენს თავს,—ეს ძვირფასი და სანატრელი ისტორია არის ბელლეტრისტიკა. ასის წლის შემდეგ ქართველი ჩვენს გასაცნობად მიჰმართავს „კაცია-ადამიანს“ და ცხოვლად, სურათ-ხატად წარმოიდგენს მესამოცე წლების ქართველ თავადიშვილობას. წაიკითხავს „მოლიპულ გზაზედ“-ს და ცხოვლად წარმოიდგენს ჩვენ მე 90 წლების კეთილშობილ წოდებათა ცხოვრებას. მაგალითებრ, თუ გინდათ გაიცნოთ რუსეთის თანდათანობითი ზრდა 50 წლებიდგან მოკიდებული ვიდრე 80 წლებამდე, საზოგადოებურ აზრის ცვალებადობა, უნდა წაიკითხოთ აუარებელი წერილები რუსის ისტორიკოსებისა, კრიტიკოსებისა, აუარებელი ჟურნალ-გაზეთები უნდა გადაშინჯოთ იმ დროინდელი და ასე ძლივ-ძლივობით მიაღწიოთ საწადელს. ხოლო არის მეორე, ადვილი და სასიამოვნო გზაც ამავე წადილის მისაღწევად. რუსებს ჰყავთ ერთი დიდებული ისტორიკოსი—ბელლეტრისტი, რომლის ცალი და ბადალი ევროპამაც არ იცის; წაიკითხეთ იმისი ნაწერები და თქვენ თვალწინ გაივლის რუსეთის ცხოვრება აღნიშნულ ხანის განმავლობაში. აგერ დიდებული „ნაწერები მონადირისა“—რა ჩინებულად ჰხატავს რუსთა ბატონ-ყმობას! ლავრეცკი, ბაზაროვი, ლიტვინოვი, ნეჟდანოვი, რუდინი,—ეს სულ ტიპებია, გამომთქმელი და გამომხატველი რუსთა ცხოვრებისა, მისის იდეალებისა, მისის სევდისა და ბოროტისა, სიხარულისა და საუკეთესო მისწრაფებისა!

რასაკვირველია, მიხვედრილი ხართ, რომ მე მოგახსენებთ დიდებულ ივანე სერგეის ძის ტურგენიევის შესახებ.

ცხოვრების მოვლენათა დაკვირვება და შესწავლა ჩვენს ახალგაზდა მწერლებში ბევრს შეუძლიან, ხოლო ამ მოვლენათა სინტეზი, ფილოსოფია ეძნელებათ. არც არის ეს ადვილი საქმე. ამისათვის საჭიროა განათლებული გონება და დიდი ბუნებრივი ნიჭი. ან. ერისთავისამ ეს მძიმე საქმე სცადა „მოლი-

*) იხ. „ივერია“ № 127

„Братская помощь», რომლის შემოსავალიც გადადებული იყო ოსმალეთში დაზარალებულ სომხების სასარგებლოდ. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ შემოსავალი 21,079 მან. არისო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებელთა მიმოსვლის სამმართველოს უფროსის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა მოსკოვ-კურსკ-ნიჟეგოროდის რკინის გზის მატარებელთა მიმოსვლის კანტორის უფროსი მ. ა. კარპოვი და ბ-ნი ჟუკოვსკი-კი გადაყვანილ იქმნა უმაღლესს თანამდებობაზედ.

*** ტფილისის გუბერნატორად ნამყოფმა თავ. გ. დ. შერვაშიძემ 1895 წლის უქვეშევრდომილესს ანგარიშში ტფილისის ყოფა-მდგომარეობის შესახებ მოიხსენია, სხვათა შორის, ისიც, რომ საუკეთესო სამიწათმოქმედო იარაღების უქონლობა ხელს უშლის მიწათ მოქმედების საქმის განვითარებას და მთავარ მიზეზად ამ იარაღების გაუვრცელებლობისას მეტის-მეტს სიძვირეს ასახელებდა. ამ ჟამად მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა წინადადება მისცა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ საუკეთესო სამეურნეო იარაღების განსაკუთრებული საწყობი დააარსე მეურნეთა შორის ამ იარაღების გავრცელების ხელის შესაწყობადაო. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ, როგორც ვიცით, არა ერთხელ და ორჯელ შეადგინა პროექტი ამგვარ საწყობის დაარსებისა, მაგრამ ფულის უქონლობისა გამო სისრულეში ვერ მოჰყავდა.

*** ტფილისის სამკურნალო გამგეობაში თელავის მაზრის სოფელ აწყურის მცხოვრებელს, ელისაბედ ბლუიშვილისას მეტად უცნაური თხოვნა შეუტანია. ბლუიშვილისა სწერს თავისს თხოვნაში, რომ ეს ოცი წელიწადია ვკურნალობ, ვარჩენ ავადმყოფებს, განსაკუთრებით კენჭით ავადმყოფებს, ამასთან აპერაციებსაც ვუკეთებო, და სთხოვს, ისეთი უფლებები მომანიჭეთ, როგორიც მკურნალ ქალებს აქვთო, გაგვათავისუფლეთ მე და ჩემი შვილები სახელმწიფო და საერო გარდასახადისაგან და ფულით დახმარებაც აღმომიჩინეთო. გამგეობამ, რასაკვირველია, სულ სხვა თვალით შეჰხედა ამ თხოვნას და ადგილობრივ პოლიციას მისწერა, გამოიძიეთ და შეგვატყობინეთ ყველაფერი ბლუიშვილისა და იმის „მკურნალობის“ შესახებ, რომ პასუხის-გებაში იქმნას მიცემულიო.

*** წელს, 14 აგვისტოს, აკურთხებენ მოსკოვში განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე II ძეგლს. ძეგლის კურთხევას უნდა დაესწრნენ, სხვათა შორის, კავკასიის სხვა-და-სხვა წოდებ ს წარმომადგენელნი.

*** სასოფლო სკოლებისათვის საჭირო ფული აქამდე ზოგი კავკასიის სამოსწავლო მთავრობას ჰქონდა ხოლმე ხელში და ზოგი გუბერნიის მმართველთ. ეხლა განზრახვა აქვთ ეს ფული მხოლოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქს ჩააბარონ ხოლმე, რომელიც თითონ გაუნაწილებს ყველა სკოლებს.

*** პოლიციის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ტფილისის 99 სასწავლებელში შარშან სწავლობდა სულ 15,837 ყმაწვილი; ამათში 10,266 მამათა და 5,571 დედათა სქესისა.

*** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობას ბევრმა მიჰმართა და სოხოვა ტფილისის მა- [illegible] დაგვითმეთ სახელმწიფო მიწის ნაწილი, რომ ამ ადგილებში ნავთის აღმოჩენას და წარმოებას შეუდგეთო. სხვებმა იმავე გამგეობას სთხოვეს ნავთლუღის მახლობლად მოგვეცით ადგილები რკინის მადნების წარმოებისათვისაო.

*** სოჭას მახლობლად მდებარე სამკურნალო წყლების გამოსაკვლევად გამოგზავნილ იქმნა კავკასიის სამკურნალო წყლების ქიმიკოსი.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა შინაგან საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკების თანახმად, ნება დართო კავკასიის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებას განზრახულ მთელის რუსეთის მეფუტკრეთა კრებასთან ერთად ბაღოსანთა კრებაც გაჰმართოს.

*** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ერთს საზოგადოებას „ალაგირს“, განზრახვა აქვს გამართოს კავკავის მახლობლად დიდი ქარხანა ვერცხლისა, ტყვიისა და სხვა ლითონის გადასადნობად, რომელსაც იქაურ მადნებში ჰპოულობენ. ქარხანას ამუშავებს ელექტრონის ძალა. ხოლო ელექტრონის მანქანებს მდინარე თერგი. ზემოხსენებულ საზოგადოებას უთხოვნია ქალაქის თვითმმართველობისათვის, რომ ქარხნისათვის უფასოდ დაგვითმეთ 15 დესეტინა ადგილი, და სამაგიეროდ მთელს ქალაქს ელექტრონით გაგინათებთო.

*** ჯალალ-ოღლიდგან სწერენ „კ ვკასს“: „ჯარის სადგურთა შორის ერთად-ერთი მოედანია, რომელიც სომხებმა ლამის დაისაკუთრონ და ამ მოედანზედ თავიანთი ეკკლესია ააგონ. ოთხის წლის წინად არტილერიის ბრიგადის უფროსმა ხამშიაშვილმა ნება მისცა სომხებს ამ მოედნის დასუფთავებისა, შემოღობვისა და ონკანის გამართვისა.

ეხლა-კი სომხებს ეს მოედანი სრულს საკუთრებად მიაჩნიათ. გარდა ამისა, საჭიროა ისიც გავიხსენოთო, სწერს „კავკასს“, რომ რუსეთისა და ოსმალეთის შორის ომის შემდეგ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, რომელიც ჯალალოღლში ყოფილა, ჰბრძანა, რომ ამ მოედანზედ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია აშენდესო. ეკკლესიის გეგმა კიდეცა აქვს საინჟინერო უწყებას. ეხლა-კი სომხებმა დაისაკუთრეს ეს მოედანი.

*** ქ. გორი. წელს აქაურ დედათა პროგიმნაზიაში სწავლა დაამთავრა 21 მოსწავლემ, ეროვნობით 10 ქართველია, 3 რუსი, 7 სომეხი და 1 გერმანელი. სახელდობრ: ბარბარე კანდელაკმა, მარიამ ხახანაშვილმა, ოლგა ხერხეულიძემ, ალექსანდრა ლუკიანაშვილმა, ოლგა ჯოხაძემ, ანნა კალაშნიკოვმა, ოლგა შატბერაშვილმა, ელენე კობიაშვილმა, ელენე რატიშვილმა, ნინო ფანიაშვილმა, ნინო ამასინსკიმ, ბარბარე აჩუღიმ, ბარბარე კრივორუჩკომ, სოფიო ძამოევმა, თამარა ალხაზოვმა, ნინო აბუევმა, ლიზა მირიანოვმა, ბარბარე ლამბაროვმა, მარიამ ტერ-სააკოვმა, ბარბარე ჯახუევმა და ელენე შეფმა.

*** დ. სენაკი. კვირას, 13 ივნისს, დ. სენაკში, ქუთაისის დრამატიულმა დასმა ბ-ნის ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინა ვ. გუნიას „და-ძმა“. თეატრის სადგურის უქონლობისა გამო წარმოდგენა გამართულ იქმნა გვიჩიას სახლის დარბაზში. წარმოდგენას იმოდენი ხალხი დაესწრო, რომ ცალიერი ადგილი არსად იყო და ბევრი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ამ დღისათვის ბევრი სოფლებიდგანაც-კი ჩამოვიდა. წარმოდგენაზედ დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნი დაბრუნდა უკან და საზოგადოების თხოვნით ბ ნი ალექსი-მესხიშვილი დაგვპირდა, რომ მეორე წარმოდგენას 29 ივნისს გავმართავო.

*** სოფ დარღაკსი, (კავკავის მაზრა). ამ სოფლის მცხოვრების თემირა თოქაევის ხუთის წლის ვაჟი რალაც არა ჩვეულებრივი ავადმყოფობით გახდა ავათ. მარჯვენა ფეხსა და ხელს იქნევდა და დედამიწას სცემდა. სამი კვირა ასე გასტანა. არც არას სჭამდა, არც არას სვამდა. იმისის სალოდაობით მთელი სოფელი იწვოდა. მარჯვენა ფეხის ქუსლი და ხელის გული სულ გადაეტყავა მეტის ცემით. სამრევლოს მღვდელმა მ. ილია გახოკიძემ ბევრი ურჩია ავადმყოფი ყმაწვილი კავკავის საავადმყოფოში წაიყვანეთ, სადაც ექიმები შეეწევიან აღმოუჩენენო, მაგრამ მაცდურ მკითხავების რჩევამ უფრო გასჭრა, — ეგ „ვაცილიას“ მიზეზია, არაფერი ექიმობა არ უნდაო. ამ გვარად, ბავშმა სამის კვირის შემდეგ ტანჯული სული დალია. ნეტა როდემდის უნდა იყოს უვიცი ხალხი მაცდურ მკითხავების მსხვერპლი...

*** სადგ. გორი. 12 ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, რკინის გზის ლიანდაგზედ საქონლისა მატარებელმა გასრისა გომელი ნალბანდი გიორგი გოგიჩარაშვილი. საცოდავს, რაკი ხალხის მატარებლისათვის ვერ მიესწრო, საქონლის მატარებელზედ ნდომებოდა შეხტომა, მაგრამ ფეხი დასხლეტოდა და მატარებელს ქვეშ მოჰყოლოდა.

## პედაგოგიური კურსები ტფილისის სემინარიაში.

15 ივნისიდგან დაიწყო კურსები ტფილისის სემინარიის სადგომში. ვერც-კი მოასწრო სემინარიის მმართველობამ მოსწავლეთა გასტუმრება, რომ თავისის სადგომის კარები ფართოდ გაუხსნა, ვითა გულ-უხვმა მასპინძელმა, ახალ-სტუმართ, თავმდაბალ სოფლის მაშვრალთა, საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელ ქალთა და ვაჟთა. ამ ხელად სულ შეგროვდა კურსებზედ სამოც-და-ათამდე ქალი და ვაჟი. რომელ საქართველოს კუთხიდგან გნებავთ, რომ აქ არ იყვნენ წარმომადგენელნი: არიან მასწავლებელნი ყარსის ოლქიდგან; ბაქოს, ერევნის, განჯა-ყარაბაღის გუბერნიებიდგან; სიღნაღის, გორის, დუშეთის, თიანეთის, თელავისა და სხვ. მაზრებიდგან.

რისთვის არიან ჩამოსულნი ეს ყმაწვილნი ქალნი და ვაჟნი, რას გაურჯიათ იგინი? რასაკვირველია, არა ქალაქის სასტუმრო-ბაღებში დროს ნის ბოდვაა; რასაკვირველია, იმათთვის „საქართველო“ — ეს წმიდა სიტყვა ჭეშმარიტის მამულის შვილისათვის — ცარიელი ჽ უმნიშვნელო სიტყვაა. ქეთინოს სული უგუნდება ამ მუქთახორებში, არ ერევა მათ საზოგადოებაში, ის ამჯობინებს შინ მარტოდ ყოფნას, წიგნების კითხვას და ბუნებასთან ალერსს. ხატვაც უყვარს და ეს პატიოსანი საქმე დიდს სიამოვნებას აგრძნობინებს ქეთინოს.

პულ გზაში“ და რაოდენადმე შესძლო დაძლევა სიძნელისა. „კნეინა მაკინე“ უკვდავი ტიპია. ქეთინო? ქეთინო საყვარელი ტიპია ავტორისა. ქეთინოსთანა სპეტაკი არსება, რომელიც მიუახლოვდება თვით წმიდანებს, ჯერ ჩვენ არა შეგვხვედრია-რა ახალს ქართულ მწერლობაში. ქეთინო მოგვაგონებს „Дворянское гнѣздо“-ს ლიზას და ცოტა „Новь“-ის *) მარინას.

* * *

ერთი მიბძანეთ, გინახავთ „ლამაზი“ ქართველი ქალი?

— ბარემ ათასიო, წამოიძახებს მკითხველი. მე-კი გეტყვით, რომ ან არ გინახავთ, ან ძალიან იშვიათად. საქმე ის გახლავთ, რომ სიტყვაში „ლამაზი“ იგულისხმება ორგვარი ღირსება ქალისა: ხორციელი და სულიერი. თქვენი გულსწრაფი წამოძახილიც: „ბარემ ათასიო!“ იმისი სიგელი იყო, რომ სახეში მხოლოდ ხორციელი სილ მაზე გქონდათ, ესე იგი თეთრ-წითელი, თურაშაულს ვაშლსავით ლოყები, მაღალი ან შუათანა ტანი, სქელი ან ვიწრო წელი (იმის მიხედვით, თუ რა უფრო ესიამოვნება თქვენს აზიურს ნებივრობას) და სხვა. თქვენ სახეში არა გქონდათ სულიერი მხარე ქალისა და ეს ამტკიცებს, ბატონო ჩემო, რომ თქვენ ისევ აზიელი ბრძანდებით; იქნება უნივერსიტეტის დიპლომიც იშოვნეთ, იქნება ცილინდრიც კოხტად გხურავთ და პენსნესაც კოხტად ათამაშებთ ბროლის თითებში, მაგრამ... აბა ვინმე გადაფხიკოს თქვენი კანი, იქიდგან ამოძვრება თქვენს არსებაში დამალული ტლანქი სპარსელი ან თურქი სრულის აზიურის ვნებათა ღელვით; დრო კია, ღმერთმანი, რომ ჩვენც გავევროპიელდეთ, ეს კიდევ იმას ჰნიშნავს, სხვათა შორის, რომ ქალისა დავაფასოთ ხოლმე ადამიანობა, კაცური კაცობა, მისი გრძნობა-გონება. ხორცი ჭურჭელია სულისა. რასიკვირველია, კარგია, რომ კარგი სასმელი კარგსა და ლამაზს ჭურჭელშიაც იყოს ჩასხმული. ასეთია ქეთინო ან. ერისთავისა. ეს არის ჩინებული სურათი, მშვენიერს ჩარჩოში ჩასმული.

ქეთინო არც საქველ მოქმედო წარმოდგენებს ჰმართავს, როგორც ჩვენებური ნასწავლი ქალები, არც ბილეთებს დაარბენინებს გასასყიდად ღარიბ სტუდენტის სასარგებლოდ, მაგრამ... ამათზედ-კი გაცილებით მაღლა სდგას. ქეთინო მარტივი, უბრალო ქალია და კარგი თვისებაც ეს არის იმისი. ქეთინო ტრიალებს ცხოვრების ყოველ დღიურ წვრილმანში და აი აქ, ყველგან და ყოველთვის, ის იჩენს თავს, ვითარცა ევროპიელი განვითარებული. ამისი სადა და ადამიანური სიტყვა-პასუხი იქამდის ეუცხოვებათ „კნეინა მაკინეებს“, რომ ხან „სულელს“ ეძახიან, ხან „გაუნათლებელს“, ხან „გაუთლელს“. ეძახიან, მაგრამ იმავე დროს იდუმალად ყველა ჰგრძნობს, რომ ეს პატარა გოგონა ყველაზედ მაღლა სდგას.

შესანიშნავი და მოულოდნელი ქეთინოს ცხოვრებაში არა ყოფილარა. ის ჰმოქმედობს ცხოვრების წვრილმანში და სახელსა და ცუნარს კარგის ადამიანობისას აქ მოიხვეჭს.

ქეთინო მარტოობას ჰგრძნობს თავისს საკუთარს სახლში, მშობელთა და ნათესავთა შორის, თავისს სოფელში. „ძნელი არის მარტოობა სულისა“! ქეთინოც მოწყენილობას ჰგრძნობს თავისიანობაში. ეს მოწყენილობა იმაზეა აშენებული, რომ ქეთინო გარშემო ვერა ჰხედავს ადამიანურ სიცოცხლეს. არიან კაცები, ადამიანები კი არა. გარემო პირუტყულ სიცოცხლეს მოუცავს. კაცები და ქალები, როგორც პირუტყვები, ცხვრები, ძროხები, წელიწადი-თორმეტი თვე ჰფიქრობენ მხოლოდ იმას, თუ სადილად რა ვჭამოთ, ვახშმად ვისთან წავიდეთ, რა ჩავიცვათ და რა დავიხუროთ. მხოლოდ ერთის მხრივ ესენი პირუტყვებზედაც დაბლა სდგანან. პირუტყვებმა ჭორიკანობა და მოყვასის დაძრახვა და დაცინვა არ იციან. „კნეინა მაკინები“-კი ამასაც მისდევენ. ახალგაზდა ყმაწვილები ლოთობასა და უსაქმობაში ატარებენ დროებას. მთელი დღე დაგლეჯილ მგლებივით ხრინწიანის ხმით ჰღრიალებენ:

„ყანწით ვსვამ ღვინოს,
თქვენს სადღეგრძელოს,
და გაუმარჯოს
ჩვენს საქართველოს“!

რასაკვირველია, ეს ღვინისაგან დახშულისა და დაბნელებულის ტვი-

ქეთინოს სწყუროდა სუფთა ჰაერი, წმინდა ატმოსფერა, რიგიანი საზოგადოება, მაგრამ სად იყო. ასე გადიოდნენ დღეები, თვეები, წელიწადები. აგერ ბოლოს ქეთინოს ცისკიდურზედ გამოჩნდა სპეტაკი ვარსკვლავი, კაცი, რომელიც სხვებს არა ჰგავს, ახალი ქართველი კაცი, ევროპიულად განათლებული, აღტაცებული, საქმიანი, ახალგაზდა, შრომის მოყვარე... ეს არის ოქრო სარდიონიშვილი, ძმა „კნეინა მაკინესი“; ახლად კურს-დამთავრებული უნივერსიტეტში და მდიდარი ოქრო ყველას სათაყვანებელია, ყველას ენატრება მისი დანათესავება. მაგრამ ოქროს გულს ვერ ათბობს ვერც ერთი ქართველი ქალი.

მეგახლავარ

(დასასრული იქნება)

*) აქ არ შეგვიძლიან გულ-მტკივნეულობით არ აღვნიშნოთ ის სამწუხარო ამბავი, რომ ქართულს ლიტერატურაში ათასი ნათარგმნი იბეჭდება და ლიდებულს ტურგენიევს-კი ქართველი მკითხველი ვერ იცნობს. ეს ამტკიცებს, რომ ჩვენს მთარგმნელებს არავითარი გემოვნება არა აქვთ. თარგმნის საქმე უნდა იყოს გაწესრიგებული. არ უნდა იკარგებოდეს დრო და ხარჯი უმნიშვნელო რამეებზედ, როდესაც საჭირო და დიდ-მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი არ გვითარგმნია. ეს საქმე უნდა ეკისრა „მოამბის“ რედაქციას.

მ. გ—რ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასატარებლად, ქალაქის თეატრ-მუზიკა-კონცერტებში სასიამოვნოდ არიან ესენი წამოსულნი.

უწმიდესის სინოდის სამოსწავლო საბჭოს დადგენილებით, კურსებმა უნდა შეავსოს ის ნაკლი, სასწავლო საგნების ცოდნის მხრივ, რომლის საჭიროებას ჰგრძნობენ მასწავლებელნი, მტკიცედ შეასწავლოს და განავარჯიშოს ისინი საჭირო ცნობა მოქმედებაში; შეათვისებინოს უფრო მოსახერხებელი და საგნის ადვილად მისაღწევი ღონე-საშუალებანი.

დიდაც რომ საქმე ყოფილა მათი დანაპირები, მათი ქცევა-მოქმედება. მაშ ცხადია, ესენი გაურჯია სურვილს, რომ კარგად შეიმზადონ თავი, კარგად შეიარაღდნენ ქვეყნისა და ხალხის სამსახურისათვის.

მაგრამ ბევრს ჩვენგანს აქვს წარმოდგენილი ის დიადი შრომა, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს კისერზედ სოფლის მასწავლებელს? ის დაუღალავი, ქანც-გამწყვეტი ჯაფა, რომელიც სიცოცხლეს უმოკლებს მასწავლებლებს?..

არასდეს სურვილს ხალხის დახმარებისას, მისს საუკუნეთა უმეცრების სიბნელე-კუკუნათებასთან ბრძოლისას ისე არ მიუზიდნია საზოგადოების ყურადღება, როგორც ჩვენს დროში.

ვინ არიან ეს ხალხის განმანათლებელნი, ეს ერის განათლების ჰოჰინის და აკვნის ლალანი? აქ შეხვდებით თქვენ ყოველის წოდებისა და ხარისხის კაცთა: სემინარიასა და გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულთ, სასულიერო სავაჟო და საქალო სასწავლებლებში, საქალაქო და სასოფლო სკოლებში და აკადემია-უნივერსიტეტებში ნასწავლთაც. ყველანი ერთნაირად არიან შეპყრობილნი და განმსჭვალულნი ერთის სპეტაკის აზრით, ერთის წმიდა გრძნობით იშრომონ თვისის მდაბალ მოძმეთა სასარგებლოდ, სასიკეთოდ; ყველა მათგანს მოუტანია თვისი წვლილი შესაწირავი დასაწვავად საკურთხეველსა ზედა საერო განათლების შესაწირავისასა.

ესენი შეიტანენ ნათელსა ცოდნისასა და ცნობადის კეთილისა და ბოროტისასა სოფლის წყვდიადში; ამცნებენ და ასწავლიან სოფლის ერთა პირველ საფუძველს ქრისტიანობრივის სარწმუნოებისა, და ზნეობისას; ერთგულება-ერთსულებას სამშობლოს და დედა ეკლესიის მიმართ. მუდამ ხალხში მყოფნი, მათთან შესისხლხორცებულნი, ისინი თავისის მოქმედებით აძლევენ მჭერ-მეტყველურს მაგალითს კარგის ყოფა-ქცევისას; განასპეტაკებენ, მოარბილებენ და განაკარგებენ მათ ზნე-ჩვეულებას, ხასიათსა და მოქმედებას. შეასწავლიან ყველა საჭირო, დღიურ ვარამისათვის გამოსადეგ ცოდნას, რასაც შეეძლება გამოსადეგნი და სასარგებლონი ჰყოს ისინი როგორც თავისის თავისა, ისე თავისის მოძმე-მოყვსისათვის.

წავიდა ის დრო, როდესაც გლეხისათვის ფიქრი, იმისათვის ზრუნვარუდუნი უღირს საგნად იყო ჩათვლილი. დღეს ყველასაგან აღიარებულია, რომ ეს, ოდესმე სასაცილოდ აგდებული გლეხი, შეადგენს უმთავრესს ძარღვს, საფუძველს და ძალას სახელმწიფოსას, რომლის დაძაბუნებას, დაქვეითებას მუდამ მოსდევს დაძაბუნება და დაქვეითება სახელმწიფოსი და, წინააღმდეგ, გაღონიერებას — ღონიერება და ძლიერება სახელმწიფოსი.

ჩვენ წინ ორი საგანია აღძრული: ხალხის განათლებისა და მისის სამკაური დასჯისა დანაშაულებისათვის. ამ საგანთა გარეშემო ტრიალებს საზოგადოება და მთავრობა. ამ საგნებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და გადაბმული აწმყო და მყოფადი ყოველის წოდებისა, მთელის ხალხისა, მთელის სახელმწიფოსი.

მივხედოთ ბუნებას და მისგან ავიღოთ მაგალითი. მას მიუცია ბავშვისათვის მაგარი აგებულება, ძალა და ღონე, უხვად დაუჯილდოვნია იგი, ბუნებითად, სიკეთით. მაშ რაღა აკლია? აი საკითხავი, რომელიც შეადგენს ჩვენის დროის უდიდეს ამოცანას და რომლის კვანძის ძაფ-ძაფად დახსნას შეუძლიან მოუტანოს კაცობრიობას საზოგადო თანაზრობა და თანასწორობა; ერთობა და თანხმობა.

დეე საზოგადოებამ მისცეს ბავშვს თუნდ იმდენი, რამდენიც მიღებული აქვს მას ბუნებისაგან. მიეცით კარგი აღზრდა-განათლება ხალხს; განავითარეთ, რამდენადაც-კი შეიძლებოდეს, მისი ჭკუა გონება, რათა ეს ღვთიური ძალა მან მოახმაროს ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ და სასარგებლოდ და არა მათ სავნოდა და საზარალოდ. საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ უვიცობა არის უუძლიერესი და უუმძლავრესი მტერი ხალხისა. მერმისი საზოგადოდ ეკუთვნის იმ ერს, იმ ხალხს, რომელთაც ხელთ აქვთ უფრო უკეთესად მოწყობილი სკოლები. ეს უფრო ცხადი იქმნება ჩვენთვის, თუ რომ მივიღებთ მხედველობაში იმ წარმატებას, იმ მართლა და მდევისებურის ნაბიჯით წინ-სვლას, რომლითაც მიისწრაფვიან დასავლეთ ევროპისა და ამერიკის განათლებულნი ხალხნი.

აი, ამის გამო დღეს ვერ შეხვდებით იმისთანა, ბევრად თუ ცოტად გამოჩენილს მწერალს, მეცნიერს, პედაგოგს, რომელიც საერო განათლებას არ აღიარებდეს იმ ქვა-კუთხედად, რომელზედაც უნდა იყოს დაფუძნებული ხალხის კეთილ-დღეობა, მისის ცხოვრების ადამიანურად მოწყობა-მომართვა, აღორძინება და დახოცვა. ამ დედა-ბოძზეა დამყარებული ჩვენის ერის ეკონომიური და ზნეობრივი ძალ-ღონე. ვიდრე ამ დედა-ბოძს არ აღმართავთ, მისს კერის ძირში არ ალაგებთ სამსხვერპლოს პატიოსანის შრომის თაყვანსაცემლად, იმ დრომდე ნამდვილის წარმატებისა და განათლების ღვთიური მადლი ჩვენ არ გვეღირსება და არც მოგვიხდება.

სადაც განათლება არ არსებობს, სადაც ავ-კარგის შეგნება და გარჩევა არ არის, იქ ყოველი კეთილი წადილი, ყოველი ჰუმანიური მისწრაფება და დაწყობილება საზოგადოდ ფეხ-მოკიდებულია და წარმოადგენს ქვიშაზედ აგებულს შენობას, რომელსაც ქარიც ადვილად ემუქრება და წყალიც; ეს უმთავრესად იმიტომ რომ, უმეცრება ერთობ მაგარი კლდეა და ძნელად მოწინააღმდეგე ძალა დარჩეს შეუმუსრავი. „ხალხის განათლება, ამბობს თ. ვასილჩიკოვი, წარმოადგენს სიკვდილ-სიცოცხლის საგანს ჩვენის დროის სახელმწიფოთათვის“. „ხალხის უვიცობა და ვაუნათლებლობა, მეორე მეცნიერის სიტყვით, არის ჩვენი უსაშინლესი შინაური მტერი, რომელთანაც შედარებით სულ უბრალო რასმეს წარმოადგენენ გარეშე მტერნი. იგი, ვითა ჩრჩილი ჰრწნის და აფუჭუროებს საუკეთესო თვისებათ ჩვენის ცხოვრებისას, გრძნობა-გონებას ხალხისას ახშობს და აფუჭებს. ამაში იმალება სათავე ჩვენის გონებითისა და ზნეობითის დაკნინებისა, დაქუცმაცებისა“.

ამის გამო ყოველი ცდა, ხალხის სიბნელე-უვიცობის წინააღმდეგ მიმართული, ვისგანაც და საიდგანაც უნდა მომდინარეობდეს: რაიმე დაწესებულების, საზოგადოების, თუ კერძო კაცთაგან, სულ ერთია, ღირსია დიდის თანაგრძნობისა ყველასაგან, ვისაც კი რადმე მიაჩნია ქვეყნისა და სამშობლოს სიკეთე და ბედ იღბალი. აქ იმდენად ბევრი საქმეა, სასპარეზო ველი ისე ფართო და ვრცელია, რომ თითოეულს ძალას, თითოეულს ნაბიჯს ამ ძლიერის სტიქიონის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა უნდა ეძლეოდეს.

უწმიდესის სინოდის სამოსწავლო საბჭოს ცდითა, დღეს საერო განათლების საქმე წარმატების გზაზედ არის დამდგარი ჩვენს ქვეყანაში. მთლად რიცხვი საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა შეადგენს ჩვენში 400-მდე, სადაც სწავლობს 10,000 მეტი ყმაწვილი, ეს სკოლები განიყოფება: წერა-კითხვის სკოლებად, ერთ კლასიან სამრევლო სკოლებად — სამის წლის კურსით; ორ კლასიან სამრევლო სკოლებად — ოთხის წლის კურსით, და მეორე-კლასიან სამრევლო სკოლებად-ექვსის წლის კურსით.

თუ რავდენად მცირეა ეს რიცხვი სკოლებისა ჩვენის ქვეყნისათვის, ცხადად სჩანს იქიდგანაც, რომ უსკოლოდ დარჩენილია დღეს საქსარხოსში 1130-მდე სამრევლო. მხოლოდ ესეც-კი უნდა ითქვას, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლები ახალი საქმე და დაწყობილებაა ჩვენში, თუმცა კი ეს ფრინველი დიდის ხნით დაშინაურებული იყო აქ, ჩვენში, წინად.

როგორც ყოველს ახალს საქმეს, ამასაც ბევრი დაბრკოლება ხვდა ჩვენში წილად, ვიდრე იგი ხალხის თანაგრძნობას მოიპოვებდა.

სულითა და გულით ვისურვებთ წარმატებას სემინარიის სადგომში პატიოსანისა და კეთილშობილის შრომა-ჯაფისათვის შეკრებილ საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ქალთა და ვაჟთათვის. ღმერთმა ხელი წარუმართოთ!..

ა. ნატროშვილი

## სოფ. აწყურის ორ-კლასიანი საეკლესიო სამრევლო სკოლა.

6 ივნისს იყო წლიური გამოცდა კახეთის სოფ. აწყურის ორ-კლასიან სამაგალითო სკოლაში. ვგონებ, საზოგადოდ სასოფლო სკოლების ავკარგიანობა მეტად საყურადღებო უნდა იყოს, ვიდრე აქამდის იყო. მართალია, ხშირადაა ლაპარაკი სასოფლო სკოლების მასწავლებელთა გაჭირვებულის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ხშირად სიხარულით ვეგებებით თითოეულ სასოფლო სკოლის დაარსებას, მაგრამ, ოფიციალურ ცნობების გარდა, სხვა მხრივ ცნობებს ვკრებთ იმის შესახებაც, თუ რა გაუკეთებია აქამდის სასოფლო სკოლას და რის იმედი შეიძლება ვიქონიოთ მომავალში. დღეს სოფლად ორ-ნაირი სკოლებია: საეკკლესიო-სამრევლო სკოლა და სამინისტრო სკოლა. ორივე სკოლა სხვა-და-სხვა სახისაა, ამასთან ორივეს უაღრესი ტიპი ორ-კლასიანი სასოფლო სკოლაა. ამაზედ უაღრესის ტიპისა სამრევლო სკოლებში არის კიდევ ესრედ წოდებული „მეორე-კლასიანი“ სამრევლო სკოლა, მაგრამ ამას განსაკუთრებითი დანიშნულება აქვს და ამიტომ როგორც სამინისტრო სასოფლო სკოლებში, აგრეთვე საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში უაღრესის ტიპის სასოფლო სკოლად მიმაჩნია „ორ-კლასიანი“ სკოლა.

სხვა სკოლების შესახებ შემდეგ მოვილაპარაკოდ, ახლა-კი ამ ორ კლასიანს დავუბრუნდეთ.

მთელს შიგნით კახეთში ერთია ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა — აწყურისა. ეს სკოლა რვა წლის დაარსებულია. ექვსი წელიწადია, რაც იგი საკუთარ შენობაშია, რომელიც აგებულია აზ. სვიმონ ლუარსაბის ძის მელვინეთხუცესიშვილის მიერ შეწირულს მამულზედ. ამავე მამულში არის მოთავსებული სასკოლო-სამეურნეო ბაღი. სკოლა შესდგება ორის კლასისაგან და თითოეულს კლასში არის ორი განყოფილება, ე. ი. ოთხწლოვანი კურსია. ამ სკოლაში სწავლის დამთავრება აძლევს შეღავათს სამხედრო ბეგარის გარდახდის საქმეში. ეს შეღავათი დიდი რამ არის-რადგანაც 24 წლის ვაჟიკაცის ერთის წლით ადრე დაბრუნება ძვირად ღირს გლეხის ოჯახისათვის. ამ წელიწადს პირველად იყო დანიშნული გამოცდა იმ აზრით, რომ ღირსეულთავის მიეცათ სამხედრო ბეგარაში შეღავათის მიმცემი მოწმობა. ჩვენ იმას არ გამოვუდგებით, აქამდის რატომ არ ეძლეოდათ იგივე მოწმობა, ვიტყვით მხოლოდ, რომ, რაც სამაზრო ზედამხედველი დაენიშნა სამრევლო სკოლებს, საქმიანობამ იმატა და ამან კიდევ ნაყოფი გამოიღო, რომელთაგან ზოგს მოკრეფის დროც დაუდგა.

უკანასკნელს განყოფილებაში სულ ხუთი ბავშვი აღმოჩნდა, რომელთაგან ერთი ქალიშვილი იყო და ოთხი ვაჟი. ყველანი 12 წლისაზედ მეტისანი არ იქმნებიან. ერთი მათგანი აზნაურია და ოთხი გლეხთა შვილები არიან. სია: მელვინეთხუცესიშვილი ვახტანგი, გელდიაშვილი არჩილი, აცმაძე ლუკა, ლაჩაშვილი მიხეილი და გიგაურიშვილისა ბაბო. მესამე განყოფილებაში ოთხი ბავშვია, რომელთაგან ერთი ქალიშვილია და სამი ვაჟი. სულ ცხრა მოსწავლესათვის იყო ამ დღეს გამოცდა დანიშნული. გამოცდა დაიწყო დილის 10 საათზედ და გათავდა ოთხის ნახევარზედ. ცხადია, გამოცდა მოხდა გულდადებით და ბეჯითად. გამომცდელ კომისიას შეადგენდნენ: თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ-ნი სოგინი, მაზრის ზედამხედველი მ. ჯაჯანიძე, სამაზრო განყოფილების წევრი მ. ნარეკლიშვილი, მასწავლებელი, სასულ. სასწ. ზარაფიშვილი, ადგილობრივნი მასწავლებელნი: მ. გულისაშვილი, ქ-ნი სვიმონიშვილისა და ბ-ნი ტარიელაშვილი. დაესწრნენ გამოცდას ორი მღვდელი, მოსწავლეთა მშობელნი და სხვანი. აქ მოვიხსენიებ მარტო სწავლა დამთავრებულების გამოცდის შედეგსა. რუსულის ენის მოსწავლეთ აღმოაჩნდათ ბეჯითი ცოდნა „Русское Слово“-ს ორივე ნაწილისა. ამ წიგნებში მოთავსებულ მასალის ბეჯითსა და შეგნებულს ცოდნას ისე გაემდიდრებინა ბავშვების ლექსიკონი, რომ ყველა გარეშე კითხვაზედ საკმაოს პასუხს იძლეოდნენ, ანუ, უკეთ ვთქვათ, ბ-ნ სოგინთან, რომელმაც ქართული არ იცის, ბავშვები ლაპარაკობდნენ ნაცნობ საგნებზედ. ზედ მიწევნით იცოდნენ კანკლედობა და პიროვან ნაცვალ სახელების დახმარებით უღვლილება. არჩევდნენ სასქესო დაბოლოვებას, იცოდნენ ძიება ქვემდებარისა, შესმენილისა და ამსხნელ სიტყვებისა. საღმრთო სჯულიდგან იცოდნენ მოთხრობების გადაცემა რუსულადაც და ქართულად ც. იცოდნენ აგრეთვე ზოგიერთ ლოცვების ახსნა. არითმეტიკიდგან იცოდნენ ოთხი მოქმედება რუსულადაც და ქართულადაც. ქართულის ენიდგან იცოდნენ ბუნების კარში მოთავსებული სამი განყოფილება ზოგი ერთის გამოკლებით. ქართულად საუცხოვოდ კითხულობდნენ ბუნების კარსა. გალობიდგან იცოდნენ „უფალო, შეგვიწყალე“, „შენ უფალო“, „ამინ“, „ღირსაარსი“ და წირვის ზოგიერთი საგალობელი. სამეურნეო ნაწილიდგან იცოდნენ სამნაირი მყნობა, რომელიც შეასრულეს გამომცდელთა თვალ-წინ. იცოდნენ კვლების სხვა-და-სხვა ნაირობა, თესლის თესვის განსხვავება.

ყველაზედ სუსტნი აღმოჩნდნენ საღმრთო სჯულში, რის მიზეზიც, როგორც აღმოჩნდა მასწავლებლის გადაყვანის საქმის გახიახება იყო. ყველაზედ უკეთესად მომზადებული აღმოჩნდა აზ. ვახტანგ მელვინეთხუცესიშვილი, რომელსაც სამი წელიწადი თურმე სათავად-აზნაურო სკოლაში უსწავლია. გამოცდის შედეგად ის ჩაითვლება, რომ კომისიამ ოთხივე ვაჟი სცნო საშეღავათო მოწმობის ღირსად და ბაბო გიგაურიშვილისა — სრულის კურსის მოწმობის ღირსად, ე. ი. ხუთმავე ბავშვმა მოწონება დაიმსახურა კომისიისა. ცხადია, დიდის მადლობის ღირსნი არიან ის მასწავლებლები, რომლის შრომამაც ნაყოფი გამოიღო. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია ახლად დანიშნული მაზრის ზედამხედველი მ. ჯაჯანიძე, რომლის ზედამხედველობამ წელს უკვე თავისი საკეთილო კვალი დააჩნია.

(დასასრული იქნება)

## რუსეთი

ამ ჟამად სამხედრო სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, თუ რა საშუალებაა საჭირო, რომ ჯარისათვის საჭირო სანოვაგე პირდაპირ სოფლის მცხოვრებელთაგან იქმნეს ხოლმე შესყიდული და არა სხვა-და სხვა მოვაჭრეთა შუამდგომლობითაო. ამ აზრით სამინისტრო მთავარ ინტენტანტსტვოს სამმართველოს სანოვაგის განყოფილების უფროსს ა. მ. არნოლდის ჰგზავნის გერმანიასა, საფრანგეთსა და ავსტრიაში ადგილობრივ იმის შესასწავლად, თუ რა გვარადაა დაყენებული ეს საქმე ამ სახელმწიფოებში.

— განზრახვა აქვთ ყოველ ბავშვთა თავშესაფართან ბაღ-ბოსტნეულობის კურსები დააარსონ.

— წელს საისტორიო საფილოლოგიო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა 13 კაცმა, რომელთაგან ექვსმა უკვე მასწავლებლის ადგილი მიიღო.

— მალე გამოცემულ იქმნება ახალი წესები ლუდხანების პატრონთა სახელმძღვანელოდ.

— წელს სამხედრო სამკურნალო აკადემიისაგან მკურნალობის მოწმობა მიიღო 114 კაცმა, კბილის ექიმობისა—28, სამაზრო მკურნალობისა—ერთმა და ბებიისა 318.

# უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** თითქმის ყოველ დღე გაზეთები ახალს საქმეს იუწყებიან იმ გაჭირვების შესახებ, რა გაჭირვებაშიაც ამ ჟამად ფილიპეს კუნძულში მყოფი ესპანიის ჯარია. ამ ჯარს, თუმცა ჯერ კიდევ საბოლოოდ არაფერი არ დაუყრია, მაგრამ მალა სრულიად გამოელია და ბრძოლის თავი აღარა აქვს. უმთავრესი ამის მიზეზი სურსათის უქონლობაა. ჯარი იმას კი აღარა ფიქრობს, რომ მტერს გაუმაგრდეს და წინააღმდეგობა გაუწიოს, არამედ იმას, რომ სადმე ლუკმა პური იშოვოს და შიმშილით სული არ ამოსძვრეს. სამიოთხი დღის უსმელ-უჭმელ ჯარის-კაცებს ომისა აღარა სცხელათ, ისინი მხოლოდ კუჭის ამოვსებას-ღა ჰფიქრობენ. ჯარის-კაცებზედ არა ნაკლებ გზა-გვალ დაბნეულები არიან აფიცრები: ამ უკანასკნელებმა აღარ იციან რა ჰქმნან, როგორ მოიქცნენ და რა გვარად შეაჩერონ მტერი. მათის უთაურობით ჯარში აღარავითარი წესი და რიგი აღარ არის. რაზმებს შორის არავითარი თანხმობა არა სუფევს. თვითეული მათგანი ისე იქცევა, როგორც მოისურვებს. ყველა ამას ისიც ზედ დაერთო, რომ ჯარის-კაცები ათასობით ანებებენ თავს ესპანიის ჯარს და მტრის ბანაკისაკენ გარბიან. იმის მაგალითიც ყოფილა, რომ ჯარის ერთი ნაწილი მტერს დასცემია თავს და სრულებით ამოუწყვეტია. ერთის სიტყვით ესპანელებს ფილიპეს კუნძულებში აღარავითარი ძალა აღარა აქვთ და არამც თუ მტრის შეჩერება და უკუ-ქცევა, არამედ უსიკვდილოდ თავის დამკვრენაც აღარ შეუძლიანთ. უმთავრესი ქალაქები მეამბოხეთ თითქმის უომრად დაიმორჩილეს. ან-კი საიდგან იომებდა ესპანიის ჯარი, როდესაც ტყვია-წამალი აღარა მოეპოვებოდა.

ეხლა აფიცრებმა გამარჯვების იმედი სრულიად დაჰკარგეს და კიდეც ამიტომ ისინი დღე-ღამეებს ქეიფსა და ლხინში ატარებენ. შემდეგი მაგალითი აშკარად ჰმოწმობს რამდენად სინიდისიერად იქცევიან ესპანიის ჯარის აფიცრები. ქალაქ მანილის მახლობლად ერთი სიმაგრე საჩქაროდ სანსუანი. ვიდრე მტერი ამ სიმაგრეს არ აიღებს, მანილის დამორჩილება და დაპყრობა მას არას გზით არ შეუძლიან. ამას წინად მეამბოხეთა ჯარი სწორედ ამ სიმაგრეს მიუახლოვდა და ტყვია დაუშინა. ჯარი დაფაცურდა, უმთავრესი ადგილები დაიჭირა და მტერს ტყვიითვე გასცა პასუხი. ამავე დროს სიმაგრის უფროს [illegible] სწორედ იმ დროს, როდესაც მტერს სროლა დაუწყვია სიმაგრისათვის, თავი დაუნებებია ჯარისათვის და დუქანში საქეიფოდ წასულა. მართალია, უფროსს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს „ურემი რომ გადაბრუნდება გზა მაშინ გამოჩნდებაო“, როდესაც ფილიპეს კუნძულები ხელიდგან გამოეცლებათ, მაშინ ათასი სასტიკი ზომები იხმარონ, საქმეს ველარაფერს უშველიან.

ამავე დროს მეამბოხეთა მეთაური და წინამძღოლი ისე იქცევა, როგორც თვით მპყრობელი და ყოვლის შემძლებელი მეფე. იმის განკარგულებას წინ ვერავინ ვერ გადაუდგება. ჯარში სამაგალითო წესი და რიგი სუფევს. წინად ეგონათ, რომ მეამბოხენი სასტიკად მოიქცევიან, ყველას განურჩევლად ამოასწყვეტავენო, მაგრამ არც ერთი მოლოდინი არ გამართლდა. ევროპიელებს დიდის პატივით ექცევიან. ტყვეებს არა სტანჯავენ, არ აწვალებენ. ქურდობისა და მარცვაგლეჯის შესახებ თითქმის არაფერი არ ისმის. ფილიპეს კუნძულების გენერალ-გუბერნატორმა ავგუსტიმ ბრძანება გასცა, სადაც-კი მეამბოხეს მოასწროთ, ცოცხალს ნუ გაუშვებთო. მართლაც და იმისი ჯარი უწყალოდ ჟლეტდა მეამბოხეებსა და საზოგადოდ ყველას, ვისზედაც ცოტა რამ ეჭვს შეიტანდა. მეამბოხეთა წინამძღოლმა აგვინალდომ, როდესაც ეს ამბავი შეიტყო, შეუთვალა ავგუსტის, თუ შემდეგშიაც ისე მოექცევი ტყვე-მეამბოხეებს, როგორც აქამდის ექცეოდი, ერთს დღეს ამოვწყვეტ ყველა იმ ტყვეს, რომელიც ეხლა ჩემს ხელშია და მათ შორის შენ ცოლშვილსაცაო. მხოლოდ ამის შემდეგ ავგუსტის ცოტა გულკეთილობა დაეტყო.

— გაზ. „Nation. zeit.“-ი იუწყება, რომ ამას წინად ესპანიის ჯარის ერთმა თავგასულმა მეომარმა მარიანო სალვამ მარშლის ბლანკოს მოკვლა განიზრახა და ამ აზრით თოფი ესროლაო. იმ დღეს, რა დღესაც ეს ამბავი მოხდა, ჯარი საშინლად აღელვებული იყო ბლანკოს წინააღმდეგ. ჯარის-კაცები ქუჩებში ჰყვიროდნენ: „შორს ჩვენგან ბლანკო! გაუმარჯოს ვეილერს!“ ამის გაგონებისათანავე ბლანკო ქუჩისაკენ გაემართა, მაგრამ კარებში სალვა დახვდა და თოფი ესროლა. ერთი აფიცერი მაშინვე ხმალ ამოწვდილი სალვას მიჰვარდა, მაგრამ ამ უკანასკნელის ამხანაგებმა ხელი სტაცეს და შეაკავეს. ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა ასე, რომ ბლანკოს შიში არ მოელის. გაზეთების სიტყვით, სალვას უეჭველად დახვრეტავენ.

# ნაკვესი

თავისის მოგზაურობის დროს დიოგენს შეჰხვდა პაწია ქალაქი, რომელსაც დიდი ალაყაფის კარები ჰქონდა:

— ჩქარა ჩაჰკეტეთ კარები, უთხრა მან მცხოვრებლებს, თორემ თქვენი ქალაქი გაგეპარებათო.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ბოლო დროს ინგლისის ჟურნალებში დაიბეჭდა რამდენიმე საყურადღებო მოთხრობა ახალის მწერლის უელსის. თვით [illegible] საყურადღებოა ამ მოთხრობებისა, მაგალითად: „საოცარი დარბაზობა“, „უჩინ მაჩინი ადამიანი“, „მოპარული ბაცილლა“ და სხვ. უელსის აზრით, მთელი კაცობრიობა, მთელი ქვეყანა ეხლა უიმედოდ არის დატოვებული. იმის მოთხრობებში ვერ შეხვდებით ვერც სარწმუნოებას, ვერც მომავლის იმედს, ვერც სიყვარულს, ვერც სხვა კეთილს გრძნობას. უელსის მოთხრობები სავსეა უიმედობითა და სასოწარკვეთილებით.

ყველაზედ უფრო საყურადღებოა უელსის მოთხრობა „მსოფლიო ბრძოლა“. აქ უელსი მოგვითხრობს მარეხის პლანეტისაგან იქაურ მცხოვრებთა გადმოსახლების ამბავს. მარეხიო, ამბობს ავტორი, დედამიწაზე გაცილებით უფრო ხნიერია,—იქ ცხოვრება ამიტომ გაცილებითვე უფრო ძნელია და თვით მცხოვრებნი ჩვენზე უფრო გონიერნი არიან. სიმშილმა და სიცივემ, ვითომ, ისე გაუჭირა საქმე მარეხის მცხოვრებლებს, რომ გადასწყვიტეს დედამიწაზე გადმოსახლება. მოთხრობა იწყობა იმით, რომ XX საუკუნის დასაწყისს ჩვენმა ვარსკვლავთ-მრიცხველებმა დაინახეს, რომ მარეხს მოსცილდა რაღაც წითელი სინათლე და წამოვიდა დედამიწისაკენ. ათის დღის შემდეგ ლონდონის მიდამოებში ჩამოვარდა ციდგან ათიოდე უზარმაზარი ყუმბარა. პირველი ყუმბარა რომ ჩამოვარდა, მცხოვრებნი ლონდონის მიდამოებისა ჯერ ძლიერ გაოცდნენ, მაგრამ ამ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ჰნახეს, რომ ყუმბარა გაიხსნა და რაღაც ცხოველის თათები გამოჩნდა. მერე გაიგეს, რომ ეს ცხოველი მარიხის მცხოვრები ყოფილა. ამ ერთს ცხოველს მერე მოჰყვა, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე და იქ მყოფთ შიშის ზარი დაეცათ. თურმე მარიხის მცხოვრებელნი მეტად განვითარებულნი ყოფილან და ამასთანავე უგულონი. დიდის ხნის კულტურამ და განვითარებამ მარიხის მცხოვრებნი მარტო ტვინად გადააქცია. უზარმაზარი ტვინი, დიდი გონება. გონება ყოვლად განვითარებული, ისე, რომ ჩვენ ვერც-კი წარმოვიდგენთ და ამასთანავე უარყოფა სინიდისისა, სიბრალულისა, სიყვარულისა... ამაზედ მეტი განვითარება-ღა გნებავთ? მარიხის მცხოვრებს, თურმე არც ფეხები აქვს, არც ხელები, არც ნიკაპი და არც ყურები. აქვთ მხოლოდ თვალები და პირი. არა აქვთ არც კუჭი, რომელიც მათთვის საჭირო არ არის, რადგანაც არაფერსა სჭამენ. არ არის მათთვის საჭირო აგრეთვე არც ტელეფონი, არც ტელეგრაფი და არც რკინის გზა, რადგ ნაც მარიხის თითოეულს მცხოვრებს აქვს ელექტრონის მანქანა, რომლითაც იქ წავა, სადაც-კი მოისურვებს. აგრეთვე შეუძლიან შეატყობინოს ერთმა მეორეს თვისი აზრი პირდაპირ და ამისათვის საჭირო არ არის მათთვის არც ლაპარაკი, არც წერილის დაწერა, არც ტელეგრაფი და არც ტელეფონი. საკვირველი არ არის ამიტომ, რომ მარიხის მცხოვრებლებმა აუარებელი ხალხი ამოწყვიტეს დედამიწაზე და კიდევაც გაანადგურებდნენ დედამიწის მცხოვრებლებს და თვით დედამიწასაც დაიპყრობდნენ, რომ ჩვენთვის არ ეშველათ... მიკრობებს, ანუ ბაცილებს. მარიხის მცხოვრებნი თურმე დედამიწაზედ ადამიანის სისხლით იკვებებოდნენ და ადამიანის სისხლში-კი მრავალი მიკრობია, რომელიც სასიკვდილო აღმოჩნდა მათთვის და სულ ერთიანად დაიხოცნენ.

ამით თავდება უელსის მოთხრობა.

### შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ ხუთი მანეთი ბ-ნ ნ. ა. გრიგოლიას მიერ შეკრებილი ერევნის გუბერნიის ქ. ორდუბათში მეფე ერეკლე მეორეს ფონდის სასარგებლოდ. აი, შემომწირველთა სია: მღ. გ. ჩ—ძემ—1 მან., პ. სა—ძემ—1 მან., დ. ე—ძემ—1 მან., დ. კ—ლმა—1. მან. და ნ. გ—ლიამ—1 მან., სულ 5 მან. ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდავეცით.


# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა მით აცხადებს, რომ ამა 1898 წლის 30 ივნისს ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო სახლებში მოხდება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იმ მამულების გასასყიდად, რომელნიც ამა 1898 წლის 11, 13 და 16 ივნისს მომხდარ ვაჭრობის დროს გაუყიდავი დარჩა.

ქალაქის მამულები.

წერეთლისა, მარიამ ივანეს ასული: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და ასეთივე ფლიგელი, მიწა ზომით 112 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალია 4304 მან. 43 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 194 მან. 96 კაპ., სულ 4499 მან. 39 კაპ.

გლასოვი, თურინჯ აგასეს ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და სამი თითო-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 132 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ნუხაში. თავნი ვალი 2280 მან. 17 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 108 მან., სულ 2388 მან. 17 კაპ.

სოფლის მამულები.

მაჭავარიანი, რომანოზ დავითის ძე: სახნავი, სძოვარი, სათიბი მამულები და ტყე, მიწა ზომით 1914 დეს. 1390 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკებს დრესა, წვერსა და წკრულეთში. თავნი ვალი 16679 მან. 89 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 2149 მან 73 კაპ., სულ 18829 მან. 62 კაპ. და შემოსატანი გარდასახადი 5 ნახევარ წლით თანაბრად განაწილებული 2275 მან. 34 კაპ.

ჭავჭავაძეთა, დიმიტრი და ალექსანდრე იოსების ძეთა: სამოსახლო, სახნავი და საძოვარი ადგილები, ტყე და ბაღი, მიწა ზომით 99 დეს. 1630 ოთხ კუთ. საჟ. ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრაში, აგარაკებს: მუკუზანსა, წინანდალსა და ურიათუბანში. თავნი ვალი 13000 მან., შემოსატანი გარდასახადი 351 მან. 50 კაპ., სულ 13351 მან. 50 კაპ.

(1—ნ.—1).

1) **РУКОВОДСТВО** для учителей и учительницъ къ преподаванію по книгѣ

„РУССКОЕ СЛОВО“,

იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, გადასწორებული და შევსებული, ფასი ყდიანი წიგნისა სამი აბაზი, უყდოდ აღარ იყიდება. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 48 კაპეიკად. წიგნი მოწონებულია მთავრობისაგან ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებელთა ბიბლიოთეკებისათვის კავკასიაში.

2) ОЧЕРКЪ СРАВНИТЕЛЬНОЙ ГРАММАТИКИ РУССКАГО И ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКОВЪ,

იაკობ გოგებაშვილისა, ფასი ერთი აბაზი, ვინც ათს ან მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. ეს უკანასკნელი წიგნი მთლად ჩართულია პირველის ბოლოში და ამიტომ მყიდველმა პირველისამ არ უნდა იყიდოს მეორე. საწყობი ორივე წიგნისა არის ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(6—6)



დიდის ვაჭრობისა და ახალის განუკეთესებულის საშუალებით ჩემ მიერ საათების დამზადებისა გამო შეძლება მომეცა 1897 წლის 1 ივლისიდგან ვყიდო მეტად მშვენიერი და გამძლე **საათები ამერიკულ ოქროსი მამაკაცთათვის**, ძვირად გა'არჩევი მკოდნე კაცებისათვისაც ნამდვილ ძვირფას ოქროს საათებისაგან,—დახურული **ანკერი**, მეტად კარგის მანქანისა და ნაკეთობისა (1896 წ. ვერცხლის მედალით დაჯილდოვებულია ჟენევის გამოფენაზედ), ლამაზის ძეწკვით, **ამერიკულ ოქროსივე**, ბრელოკით, და, დამკვეთის სურვილისამებრ, იმის **მონოგრამმით** ზემო სახურავსზედ, 18—20 მან. მაგიერ იყიდება

**მხოლოდ 10 და 12 მან.**

ამერიკაში ამ საათებმა დიდი ხანია ხმარებიდგან გააძევა ნამდვილი ოქროს საათები და ბოლოს დროს ჩვენშიაც ჰხმარობენ.

ასეთივე საათი **ქალთათვის 1 მან. ძვირია**

წერილითი თავდებობა ეძლევა მყიდველს 6 წლის ვადით.

ვუგზავნი სრულიად მოწყობილსა და მორთულს საათს ორის მან. ბეს მიღების შემდეგ ფასდადებით. ადრესი:

**შ. გეილერის**

**საწყობი ჟენევის საათებისა ქ. ვარშავაში,**

კოროლევსკაია, 27, 29.

— მრავალი სამადლობელი წერილები —

სიყალბის თავიდან ასაცდენად ყოველ საათს ფირმის ბეჭედი აზის, რომელიც ნება-დართული და დამტკიცებულია სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტისაგან.

(10—მ.—7)


Дозволено цензурою. Тифлисъ 18-го Іюня 1898 г. — სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.